ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5866016

ნომერი: AR1888527

თარიღი : 22.03.2022

გაცემის თარიღი : 25.03.2022

გაცნობის თარიღი : 25.03.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 56;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე აბაკელია პ/ნ 01008013529
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 72 ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 22 მარტს №AR1888527 განცხადებით მომართა ეკატერინე აბაკელიამ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 21

მარტის №5857381 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მისამართის, საკადასტრო კოდის და საპროექტო ობიექტის ფუნქციის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5185143 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №56-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.001.249) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი - I) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 22 იანვრის №5252780 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2020 წლის 25 თებერვლის №4874637 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.001.249), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის II ბლოკის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 15 სექტემბრის №5104239 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №56-ში არსებულ №01.10.06.001.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი - I, ბლოკი - II) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 21 მარტიდან 2025 წლის 21 მარტის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ჩანაწერის: „ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №56-ში არსებულ №01.10.06.001.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი- I, ბლოკი - II) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის“ ნაცვლად დაფიქსირებულია „ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, იმუშევის ქუჩა, N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.15.001.016) საწყობის (ავეჯისა და ხის მასალის საწყობი) არქიტექტურული პროექტი“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2022 წლის 27 იანვარს №AR1874472 განცხადებით სამსახურს მომართა ზურაბ ბაჩიაშვილმა და მოითხოვა №01.10.06.001.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი - I, ბლოკი - II) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ორივე ბლოკზე. ამასთან, სამსახურის 2020 წლის 18 ნოემბრის №5185143 და 2020 წლის 25 თებერვლის №4874637 ბრძანებებით არქიტექტურული პროექტები შეთანხმებულ იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, შესაბამისად მის საფუძველზე გამოცემულ სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანებაშიც საპროექტო ობიექტად უნდა დაფიქსირებულიყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.
საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, №01.10.06.001.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №56.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №56-ში არსებულ №01.10.06.001.249 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი - I, ბლოკი - II) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 21 მარტის №5857381 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge